პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, და თბილისის კომიტეტისა
საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 8 ოქტომბერი, 1943 წ. № 210 (6835). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ერემენკოს

კალინინის ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა და დღეს, 7 ოქტომბერს, ორი დღის გაფთრებული ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ქალაქი **ნეველი**—გერმანელთა დიდი დასაყრდენი პუნქტი და კომუნიკაციების ოპერატიულად მნიშვნელოვანი კვანძი ჩრდილოდასავლეთის მიმართულებით.

ქალაქ **ნეველის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **გალიცკის**, გენერალ-მაიორ **შვეცოვის** ჯარებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **პაპივინის** მფრინავებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

გენერალ-მაიორ **მიხაილოვის** გვარდიის 21-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ბუკშტინოვიჩის** 28-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ჩინოვის** 360-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ჩერნოვის** 47-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ბაკუევის** 31-ე მსროლელმა ბრიგადამ, პოლკოვნიკ **კოჩერგინის** 78-ე სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **ჩუპროვის** 236-ე სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **პოდკოვსკის** 143-ე სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **ფროლოვის** 163-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოლკოვნიკ **ბიდანოვის** 827-ე ჰაუბიცის საარტილერიო პოლკმა, პოლკოვნიკ **ზიმინის** 240-ე გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ და პოლკოვნიკ **კუჩმას** 211-ე მოიერიშე საავიაციო დივიზიამ.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად იმ შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ **ნეველის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მიენიჭოთ „**ნეველის**“ სახელწოდება.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

ნეველის გვარდიის 21-ე მსროლელი დივიზია,
ნეველის 28-ე მსროლელი დივიზია,
ნეველის 360-ე მსროლელი დივიზია,
ნეველის 47-ე მსროლელი დივიზია,
ნეველის 31-ე მსროლელი ბრიგადა,
ნეველის 78-ე სატანკო ბრიგადა,
ნეველის 236-ე სატანკო ბრიგადა,
ნეველის 143-ე სატანკო ბრიგადა,
ნეველის 163-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
ნეველის 827-ე ჰაუბიცის საარტილერიო პოლკი,
ნეველის 240-ე გამანადგურებელი საავიაციო დივიზია,
ნეველის 211-ე მოიერიშე საავიაციო დივიზია.

დღეს, 7 ოქტომბერს, 22 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც ქალაქი **ნეველი** გაათავისუფლეს,—ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალვით.

საუცხოო ხაბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ **ნეველის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში.

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 7 ოქტომბერი.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს
სვერდლოვსკის ოლქის კრასნოუფიმსკის რაიონის 1-ლი მაისის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალებისაგან

ასრულებს რა ურალელთა მიერ თქვენთვის მოცემულ წმინდა ფიცს, ჩვენო დიდო მასწავლებელო და ბელადო, სვერდლოვსკის ოლქის კრასნოუფიმსკის რაიონის 1-ლი მაისის კოლმეურნეობამ მთლიანად შეასრულა პურის ჩაბარების, ნატურანაზღაურებისა და წითელი არმიის ფონდისათვის ჩაბარების გეგმა 19.428 ფუთის რაოდენობით. ასევე დამთავრებულია ხორცის ჩაბარებისა და მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულება. კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარა 78 ფუთი ხორცი, 3.222 ფუთი პური.

ჩვენი გმირული წითელი არმიის დიდ გამარჯვებათა აღსანიშნავად, წითელი არმიისა, რომელმაც ფაშისტთა ბანდებისაგან გაათავისუფლა ასობით ქალაქი, ათასობით დასახლებული პუნქტი, 1-ლი მაისის კოლმეურნეობა კისრულობს: 1943 წელს ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 15.000 ფუთი პური, 18.000 ფუთი ბოსტნეული, 13.000 ფუთი კარტოფილი. სულ გეგმის გადამეტებით მივცემთ სოფლის მეურნეობის 46.000 ფუთ პროდუქციას. გარდა ამისა, განთავისუფლებულ რაიონებში ვგზავნით: 15 სულს მსხვილფეხა რქიან საქონელს, 15 ღორს, 10 ცხვარს.

ვიხოვთ ყველა კოლმეურნეობას მიჰბაძონ ჩვენს მაგალითს.

სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ზეგეგმითი ჩაბარებით დავეხმარებით წითელ არმიას ფაშისტ ურჯულოთა უსწრაფესად განადგურებასა და განთავისუფლებულ რაიონებში დანგრეული მეურნეობის აღდგენაში.

ფიცსა ვდებთ, ამხანაგო სტალინ, ღირსეულად შეავსრულოთ თქვენი დიადი მითითებანი და ჩვენ მიერ თქვენთვის მოცემული ფიცი, ჩვენო საყვარელო მამავ, მასწავლებელო და ბელადო.

ხვერდლოვსკის ოლქის კრასნოუფიმსკის რაიონის 1-ლი მაისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პეტრე პეტრეს-ძე ლიპინი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს შექმნის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან მოწყობილია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო სსრ კავშირის მთავრობასა და მოსკოვისა და სრულიად-რუსეთის პატრიარქს შორის კავშირის განსახორციელებლად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იმ საკითხებში, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტას მოითხოვენ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. გ. გ. კარპოვი.

ყუბანში ბრძოლების გმირები

ყუბანის **მიწა-წყლის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მამაცობისა და გულადობის ნიმუშებს გვიჩვენებენ ორგზის წითელდროშოვანი 6 შენაერთის მებრძოლები და მეთაურები.

ამ შენაერთის **ნაწილებში** საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხთა შვილებთან ერთად გმირულად იბრძვიან ქართველი ხალხის მამაცი შვილები. ზოგიერთ მათგანზე იუწყება შენაერთის სარდლობა.

შენაერთის ნაწილებში დამსახურებულად გათქვეს სახელი, მაგალითად, მებრძოლებმა **ურაშვილმა, თუმანიძემ, ხუციშვილმა.** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი-**საფეს** ბრძოლის რთულ ვითარებაში ისინი გარემოცვაში მოჰყვნენ. მაგრამ საბჭოთა მეომრები ამით არ შემდრკალან. თავისი იარაღის ცეცხლით ისინი გააფთრებით ებრძოდნენ მოძალებულ მოწინააღმდეგეს, რამდენიმე გაშმაგებული იერიში მოიგერიეს, ათობით ფაშისტი ჯარისკაცი გასწყვიტეს და გარემოცვიდან გამოვიდნენ.

ნამდვილი მამაცობისა და უშიშარობის მაგალითი გვიჩვენა ერთი დასახლებული პუნქტის იერიშის დროს უფროსმა სერჟანტმა **არჩილ ძიგუამ.** ჩვენი ნაწილების წინსვლას ხელს უშლიდა მოწინააღმდეგის ორი ძლიერ გამაგრებული წერტი. ამ წერტილების მოსპობა იკისრა სერჟანტმა ძიგუამ.

შეძახილით „**სამშობლისათვის, ხტალინისათვის!**“ ძიგუა ნაღმსატყორცნისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ძლიერ ცეცხლქვეშ გაეშურა მტრის სიმაგრეებისაკენ და ტანკსაწინააღმდეგო გრანატები დაუყარა მათ. ფაშისტი მეტყვიამფრქვეველები მოსპობილ იქნენ. ძიგუამ ხელთ იგდო მათი ტყვიამფრქვევი, შეაბრუნა იგი და იწყო გაქცეული ჰიტლერელების განადგურება, შემდეგ ბრძოლის ველზე მტრის 30-მდე გვამი დაითვალეს.

ყველა გმირი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით.

კომკავშირელ ვასილ გურლაკის საჩუქარი სკპ. აღკკ XXV ნლისთავისათვის

29 სექტემბერს ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის სტალინის შახტის კომკავშირელმა მბურღველმა ვასილ გრიგოლის-ძე ბურლაკმა ახალი რეკორდი დაამყარა. ამ დღეს იგი შახტაში ჩავიდა, მოანგრია 107 ტონა ქვანახშირი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8,12 ტონისა, და გეგმა შეასრულა 1.317 პროცენტით. ამ დღეს ბურლაკმა გამოიმუშავა 1.025 მანეთი ფულად.

ახალგაზრდა პატრიოტმა თავისი დიდი საწარმოო გამარჯვება ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვან XXV წლისთავს მიუძღვნა.

საქ. აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბალავაძემ კომკავშირელ ვასილ ბურლაკს გაუგზავნა მისალმების დეპეშა, რომელშიც სწერს:

„ბოლოცავთ მორიგ საწარმოო გამარჯვებას ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXV წლისთავის აღსანიშნავად. გისურვებთ თქვენი საწარმოო მიღწევების გამრავლებას. გახადეთ თქვენი შესანიშნავი გამოცდილება ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის საერთო საკუთრებათ. მიაღწიეთ კომკავშირის სახელოვანი XXV წლისთავისათვის კიდევ უფრო დიდ საწარმოო გამარჯვებას. მოამზადეთ საწარმოო საჩუქრები სამშობლოსა და წითელ არმიისათვის.“

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

6 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

6 ოქტომბრის განმავლობაში ფრონტზე სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა.

5 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 16 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 59 თვითმფრინავი.

* * *

ვიტებსკის მიმართულებით ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარი, ტანკებისა და მოიერიშე ავიაციის დახმარებით, ოთხჯერ გადმოვიდა კონტრიერიშზე. ჩვენმა ნაწილებმა მოწინააღმდეგის კონტრიერიშები მოიგერიეს, 500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. სხვა უბანზე 5 შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს და 200-ზე მეტი ჰიტლერელი გაყლიტეს. მათ ხელთ იგდეს დავლა, რომელშიც არის 8 ქვემეხი, 38 ტყვიამფრქვევი, 2 საწყობი საომარი მასალა და სამხედრო-ტექნიკური ქონება.

* * *

გომელის მიმართულებით 5 შენაერთის ნაწილებმა უკანასკნელი დღეების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პოზიციები. ამ ბრძოლების შედეგად მოსპობილია 800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 12 ქვემეხი, 6 ნაღმსატყორცნი, 49 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალის საწყობი. წამოყვანილია ტყვეები. სხვა რაიონში ჩვენი მებრძოლები მოწინააღმდეგეს ზურგში მოექცნენ და მოულოდნელი იერიშით გაანადგურეს ჰიტლერელთა ორი ასეული.

საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა დღის განმავლობაში გერმანელთა 21 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

მოგილიოვის მიმართულებით როსლავლის 277-ე მსროლელი დივიზიის ერთ-ერთ ქვეგანაყოფზე იერიში მოიტანეს მოწინააღმდეგის მეავტომატეებმა და 5 ტანკმა. საბჭოთა მებრძოლები ყველა სახის იარაღის ცეცხლით შეხვდნენ მტერს. ჯავშანმტვრეველმა წითელარმიელმა ამხ. ბარანოვმა მწყობრიდან გამოიყვანა გერმანელთა 3 ტანკი. მოწინააღმდეგის გადარჩენილი ორი ტანკი სწრაფად მიიმალა. ტანკების დახმარებას მოკლებულ გერმანელ მეავტომატეებს დიდი ზარალი მოუვიდათ. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გერმანელები განდევნეს ძლიერ გამაგრებული პუნქტიდან. მტერმა 300 მოკლული დასტოვა ბრძოლის ველზე. ხელთ ვიგდეთ საარტილერიო ბატარია და საომარი მასალის საწყობი.

* * *

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ავიაციამ ბალტიის ზღვაში ჩასძირა გერმანელთა 2 ტრანსპორტი 13.000 ტონა საერთო წყალწყვისა.

შავი ზღვის ფლოტის ავიაცია თავს დაესხა მოწინააღმდეგის ნავსადგურს. ჩაძირულია რეიდზე მდგომი ტრანსპორტი 1.500 ტონა წყალწყვისა. ნავსადგურში გამოწვეულია ძლიერი აფეთქებანი და მრავალი ხანძარი. ჩაძირულია აგრეთვე მოწინააღმდეგის 2 სადესანტო კარჭაპი და საბუქსირო კატერი ქვეით ჯარიანად.

* * *

პოლესიეს ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა ტანკებისა და ავტომანქანების ეშელონი. გერმანელებმა მარცხის ადგილას საკონტროლო-აღმადგენელი მატარებელი გაგზავნეს გზის გასაწმენდად და შესაკეთებლად. ეს მატარებელიც ნაღმებს წააწყდა და აფეთქდა. დაიმტვრა ორთქმლმავალი და სპეციალური მოწყობილობით დატვირთული 7 პლატფორმა.

* * *

გერმანიის 707-ე დივიზიის 747-ე პოლკის მე-4 ასეულის ტყვე მეთაურმა ობერ-ლეიტენანტმა ჰანს მაიერმა განაცხადა: „ჩვენი პოლკი ორი კვირის განმავლობაში დიდად დაზარალდა. ჩემმა ასეულმა 70 კაცი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ახლა სულ 20 ჯარისკაცი-ღა დაგვრჩა. პოლკმა თითქმის მთელი თავისი სატრანსპორტო საშუალებები დაჰკარგა. ჩვენი დივიზიის ჯარისკაცები წინათ დაცვის სამსახურს ეწეოდნენ და ბრძოლებში მონაწილეობას არ იღებდნენ. დიდი ზარალის გამო, სარდლობამ ბრძოლაში გაიყვანა 707-ე დივიზიაც. არა მარტო ჯარისკაცებმა, არამედ ბევრმა ოფიცერმაც კი დაჰკარგა გერმანიის გამარჯვების რწმენა. ამას წინათ ერთმა კაპიტანმა ვიწრო წრეში განაცხადა: გერმანიის სარდლობის ტაქტიკა წყალწაღებულის მოქმედებას მაგონებს, რომელიც ბავს ეჭიდებაო. უფროსმა ოფიცერმა, რომელიც ამ ლაპარაკს დაესწრო, უპასუხა: „ეს კი უკვე მეტისმეტად გადააჭარბეთ. ჩვენ ჯერ წყალს არ წაეფიცვართ და მარტო დროდადრო ვყლაპავთ მას“. ამაზე კაპიტანმა უპასუხა: „ყოველთვის ასეა: ჯერ წყალს ყლაპავენ, ხოლო შემდეგ იძირებიანო“.

* * *

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ ჩერნიგოვის ოლქის სოფელ ოლშანის მცხოვრებლებმა განაცხადეს: „8 სექტემბერს ჩვენი სოფლის მახლობლად ვიღაცამ გერმანელი ჯარისკაცი მოჰკლა. ჰიტლერელებმა ამავე დღეს მასობრივი ჩხრეკა მოახდინეს. ფაშისტი არამზადები ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს იპერდნენ სახლებში, ქუჩებში, ბოსტნებში და მინდვრებში. ოლშანის და მის მეზობლად მდებარე სოფლების 120-ზე მეტი მცხოვრები დაუპატიმრეს. მეორე დღეს გერმანელებმა ყველა დაპატიმრებულები აგარაკ „იასოკისაკენ“ გარეკეს. აქ ფაშისტმა ჯალათებმა დაპატიმრებულებს საფლავი გაათხრევინეს, ორმოებთან მიიყვანეს ისინი, კეფაში ესროლეს ყვავი და დახოცეს. ჰიტლერელმა კაციჭამიებმა ბევრი ქალი და ბავშვი აიძულეს ორმოში ჩაწოლილიყვნენ გასასხლიანებულ გვამებზე, ხოლო შემდეგ მწოლიარეებს ესროდნენ. ფაშისტი არამზადები ხოცავდნენ არა მარტო ქალებს, არამედ მცირეწლოვან ბავშვებსაც. დახვრეტილთა შორის არიან: 10 წლის ჰანნა როლიკი, მისი 5 წლის და ევდოკია, 9 წლის გალინა კუცენკო, 45 წლის მელანია შეველა და მისი 13 წლის შვილი ელენე, 60 წლის ულიანა ბურიაჩოკი და მისი 17 წლის შვილი ალექსანდრა, 13 წლის ივანე ჩერნიჩენკო, 14 წლის ნადეჟდა კრივორუჩკო და სხვანი“.

ჩვენი ავიაციის მთავარსარდლის რკინიგზის კვანძებზე მინსკსა, გომელსა და ჯანკოიზე და სადგურებზე მელიტოპოლსა და ბიხოვზე

6 ოქტომბერს, დღისით და ღამით ჩვენმა ავიაციამ დაბომბა გერმანელთა თავმოყრილი სამხედრო ეშელონები და მოწინააღმდეგის სამხედრო საწყობები რკინიგზის კვანძებზე მინსკსა, გომელსა და ჯანკოიზე და სადგურებზე მელიტოპოლსა და ბიხოვზე. დაკვირვებით შემჩნეულია ბომბების პირდაპირი მოხვედრება რკინიგზის შემადგენლობებში. გაჩნდა მრავალი ხანძარი, იწვოდა მოწინააღმდეგის ვაგონები, პლატფორმები, ცისტერნები, აგრეთვე საწყობები. ხანძრებთან სდევდა ძლიერი აფეთქებანი. მრავალ უბანზე დაბომბვის შედეგად დანგრეულია რკინიგზის ლიანდაგები.

სამი ჩვენი თვითმფრინავი თავიანთ აეროდრომებზე არ დაბრუნებულა.

აღგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები

ვიტებსკის მიმართულება, 6 ოქტომბერი (**საკუთარი სპეც. კორ.**). ვიტებსკის მიმართულებით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებს. მოწინააღმდეგე შეუპოვრად იცავდა ერთ დასახლებულ პუნქტს. პირდაპირი იერიში შეიძლებოდა ძვირად დაგვჯღმოდა, რადგანაც მტრის ცეცხლი განსაკუთრებით ძლიერი იყო. მაშინ ოფიცერი ოვსიანიკოვი მეავტომატეთა ჯგუფით შეუმჩნევლად გავიდა გერმანელთა ზურგში. სოფლის გარშემო დააყენა მებრძოლები და სროლა ასტეხა. ფაშისტებმა გადაწყვეტეს, რომ ისინი გარშემორტყმული არიან, უწესრიგოდ ასტეხეს სროლა და უკანდახევა დაიწყეს. დასახლებული პუნქტი ჩვენმა მებრძოლებმა დაიკავეს.

ქვეით ჯარს კარგად ეხმარებიან არტილერისტები და ტანკისტები. როგორც წესი, არტილერისტები ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობილებებში იმყოფებიან, პოულობენ და ახშობენ მტრის საცეცხლე წერტილს. არტილერისტმა ანანიევმა მარტო, ერთი დღის განმავლობაში ქვემეხით დაამსხვრია ორი ტყვიამფრქვევი და გაჭანტა გერმანელთა დიდი ჯგუფი. ქვეითებმა არტილერისტების დახმარებით წინ წაიწიეს და პოზიციები გაიუმჯობესეს.

ვითარება მოითხოვდა, რომ დაუყოვნებლივ განგვედევნა მტერი ერთი დასახლებული პუნქტიდან. ამისათვის საჭირო იყო ჩაგვეჭიმებინა მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევები. ჩვენებმა ღია პოზიციიდან წამოსწიეს ქვემეხი. ფაშისტებმა მოახერხეს მწყობრიდან გამოეყვანათ ქვემეხის მეთაური და მემიზნე. ყუმბარის ნამტვრევმა სამიზნე მოჰგლიჯა ზარბაზანს. მაგრამ გამტენმა ბრატუხამ მარტოდმარტომ, დასამიზნებელი ხელსაწყოების უქონლად, ექვსჯერ გაისროლა და მტრის ორი ტყვიამფრქვევი ჩაიჭიმა. მსროლელმა ქვეგანაყოფმა წინ წაიწია.

მამაცურად იბრძვიან ტანკისტები. ბატალიონის მეთაურს, გვარდიის კაპიტან პონომარიოვს და მის მოადგილეს, გვარდიის კაპიტან შლიპკოვს ტანკების კოლონა მიჰყავდათ გზატკეცილით და მტრისაგან სწშენდნენ მას. ტანკებს ქვეითი ჯარი მისდევდა. მტერმა ეშმაკური მანევრი განიზრახა. როგორც კი წინ წაიწიეს ჩვენმა ტანკებმა, ფლანგებიდან გზატკეცილისაკენ გამოცვივდნენ ჰიტლერელები, სროლა ასტეხეს და სცადეს მოეწყვიტათ ჩვენი ქვეითი ჯარი. ტანკისტებმა ეს რომ შეამჩნიეს, დაბრუნდნენ და მოსპეს თითქმის ყველა ჰიტლერელი, რომელნიც გზატკეცილს მიუახლოვდნენ.

ტანკისტები, რომელნიც თავიანთი ამოცანის შესრულებას განაგრძობდნენ, ნაღმიან ველს წაწყდნენ. მათ მესანგრეები დაეხმარნენ. გერმანელთა ძლიერი ცეცხლის ქვეშ მათ გზა განაღმეს. საბჭოთა მრისხანე მანქანებმა კვლავ წინ გასწიეს და გზა გაუკაფეს ქვეითს ჯარს.

მაგრამ ფაშისტები უფრო და უფრო შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევნდნენ. ტანკებს რამდენიმე ქვემეხი უშენდა. ისინი განსაკუთრებით ძლიერ უშენდნენ შლიპკოვის მოწინავე ტანკს. მწყობრიდან გამოვიდა მექანიკოს. ძმღოლი. მეთაურმა თვითონ მოჰკიდა ხელი მართვას. მალე ყუმბარის პირდაპირი მოხვედრებით ტანკს ცეცხლი წაეკიდა. შლიპკოვი ცეცხლმოკიდებული მანქანით განაგრძობდა მტრის განადგურებას. მისმა ტანკმა გერმანელთა რამდენიმე საცეცხლე წერტი ჩაიჭიმა და მრავალი ჰიტლერელი დახოცა.

ტყვე ჯარისკაცები და ოფიცრები აცხადებენ, რომ გერმანიის ჯარებმა დიდი ზარალ ნახეს. ეგერთა ბატალიონის ჯარისკაცი გაუნტერ რაინერტი ამბობს: „ჩვენი ბატალიონი სრულიად განადგურებულია“. გერმანელთა ქვეითი პოლკის მუსანგრეთა ოცეულიდან ჩვენს მხარეზე გადმოსული ჯარისკაცი ამბობს: „რამდენიმე დღის ბრძოლებში მე-3 ბატალიონმა თავის შემადგენლობის ნახევარი დაჰკარგა. ზარალის შესავსებად ბრძოლაში გამოიყვანეს მემუსიკეთა ოცეული, ცხენოსან მზვერავთა ოცეული და მესანგრეები“.

უკანდახევისას ფაშისტები გზებსა და ხიდებს ანგრევენ, ეებს მიწით ავსებენ, სოფლებსა და პურს ცეცხლს უკიდებენ, ხოლო მოსახლეობას თავიანთ ზურგში მიერეკებიან. ვინც უარს ამბობს გერმანიაში წასვლაზე, ჰიტლერელები ყველას იქვე ჰხოცავენ. სმოლენსკის ოლქის სოფლებში — ბოჟკოვოსა და ბოლშოე კოსტილიოოვში ჯალათებმა 3 ქალი დახვრიტეს იმისათვის, რომ მათ სთქვეს: „აქედან ჩვენ არსად წავალთო“.

სოფელ ტარასენკში რომ შევიდნენ, ჩვენმა მებრძოლებმა ერთი სახლის ნახანძრალში 3 ბავშვის ნახშირად ქცეული გვამი და ერთი ქალის გვამი იპოვნეს. ტყიდან დაბრუნებულმა მცხოვრებლებმა განაცხადეს: ეს ოჯახი ჰიტლერელებმა იმისთვის ამოსწვეს, რომ უარი განაცხადა მიეტოვებინა თავისი სახლიო.

ე. კორიავიჩევი

უკანასკნელი ცნობები

მილება ჩერჩილთან საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის პატივსაცემად

ლონდონი, 6 ოქტომბერი (საკუთარი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, 5 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა თავის რეზიდენციაში მოაწყო მიღება პროფკავშირთა სრულიადსაკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნის ნ. მ. შვერნიკისა და მისი მეთაურობით იქ მყოფ საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად. დელეგაციის წევრები ჩერჩილს წარუდგინა სერ უოლტერ სიტრინმა.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 6 ოქტომბერი (საკუთარი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ ამერიკის მეხუთე არმიამ დაიკავა პუნქტი მონტესანიკო (ბენევენტოს დასავლეთით) და წინსვლას განაგრძობდა მიუხედავად იმისა, რომ მტრის წინააღმდეგობა გაძლიერდა. მოკავშირეთა ჯარებს კვლავ მოსდით მაშველი ძალები; ისინი სწრაფად არღვევენ მოწინააღმდეგის მიერ დანგრეულ ხიდებს.

ინგლისის მერვე არმიას ბრძოლა აქვს მტრის ჯარებთან ტერმოლის დასავლეთით მდებარე რაიონში და მდინარე ბიფერნოსთან გადავლ ხაზზე. აქ გაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ამერიკის მეხუთე არმიამ ნეაპოლის ჩრდილოეთით წაიწია და ორი მნიშვნელოვანი აეროდრომი დაიკავა პომილიანო დ'არკოში და კაპოდიკინოში.

პომილიანო დ'არკოს აეროდრომზე აღმოჩენილია 100-ზე მეტი ჩონჩხული მტრის თვითმფრინავებისა, რომლებიც მოკავშირეთა ავიაციამ დაანგრია ამ აეროდრომზე თავდასხმისას ან თვით მოწინააღმდეგემ დანგრია უკანდახევისას.

ლონდონი, 7 ოქტომბერი (საკუთარი). **რეიტერის** სააგენტოს ცნობით, ამერიკის მეხუთე არმიის ნაწილებმა ვადალახეს მდინარე ვოლტურნო, 27 კილომეტრზე ნეაპოლიდან. აქ შექმნილია ახალი ხიდწინა სიმაგრენი.

კორსიკა გაწმენდილია კიბეღრილი ოკუპანტებისაგან

ლონდონი, 6 ოქტომბერი (საკუთარი). **რეიტერის** სააგენტო გადმოგვცემს ფრანგთა ჯარების შტაბის ცნობას, რომ „ფრანგთა ჯარებმა კორსიკის განთავისუფლება დაამთავრეს კუნძულზე მათი პირველი გადასვლიდან 20 დღის შემდეგ. ფრანგების ზარალი ერთობ მცირეა. წამოღებულია დიდი დავლა“.

---

7 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

პაუზის შემდეგ, რაც საჭირო იყო ზურგის მოსაწყობად, ჩვენმა ჯარებმა კვლავ გაჩაღეს შეტევითი ბრძოლები გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ მთელ ფრონტზე ვიტებსკიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე.

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები წარმატებით ახორციელებენ მტრის ალიკვიდაციას ტამანის ნახევარკუნძულზე. დაკავებულია ქალაქი და ნავსადგური **ტამანი** და დიდი დასახლებული პუნქტები **ვიშესტებლიანსკაია, ტალიანოვსკაია, გიორგიევიცკაია, სემენუკი, სენაია, პრიმორსკი.** სოლიონი მტრის ჯარებს, რომლებმაც ვერ მოასწრეს ნახევარკუნძულიდან ევაკუაცია, ვაპობთ.

დნეპრის შუაწელის ზოლში ჩვენმა ჯარებმა წარმატებით გადალახეს **დნეპრი** და დაიკავეს პლაცდარმები სამ ადგილას: **ბიეზეის** ჩრდილოეთით, ქალაქ **პერეიასლავის** სამხრეთით და **კრემენჩუგის** სამხრეთ-აღმოსავლეთით. დნეპრზე გადასული ჩვენი ჯარების წინააღმდეგ გერმანელებს გააფთრებული კონტრიერიშები მოაქვთ, რომლებსაც ვიგერიებთ მტრისათვის დიდი ზარალის მიყენებით. ჩვენი ჯარები ნაბიჯ-ნაბიჯ აფართოებენ პლაცდარმებს.

კალინინის ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მტრის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა 25 კილომეტრ სიგრძეზე და 25 კილომეტრ სიღრმეზე და ორი დღის გაფთრებული ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი **ნეველი**, აგრეთვე დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

ქალაქ და სარკინიგზო კვანძ **კირიშის** ჩრდილოეთით **ვოლხოვის** ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვა, წინ წაიწიეს 15 კილომეტრით და ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი **კირიში** და დიდი დასახლებული პუნქტები—**ნოვაია კირიში, ლარინოვო, ოსტროვი, პოსადნიკოვ ოსტროვი, მერიატინო, კასასნოვო, დუბროვო, დრაჩოვო, მიაბრი** და რკინიგზის სადგურები **პოსადნიკოვო** და **ირსა.**

6 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 32 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 44 თვითმფრინავი.

* * *

ტამანის ნახევარკუნძულზე ჩვენმა ქვეითმა და სატანკო შენაერთებმა იერიში მიიტანეს მტრის თავდაცვითს ნაგებობებზე, რომელიც ტამანის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს იცავდნენ. გაფთრებული ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვა, სწრაფად წაიწიეს წინ და დაიკავეს ქალაქი და ნავსადგური ტამანი. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა, რომელშიც არის ტანკები, ქვემეხები, დიდი საწყობები და ვაზნების, ყუმბარების, ნაღმების, საჭურვლის, სურსათისა და სამხედრო მასალის დიდი მარაგი.

ჩვენმა ჯარებმა, გათავისუფლეს რა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ტამანის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, აგრეთვე დაიკავეს მტრის თავდაცვის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი გოლუბიცკაია (ქ. ტემრიუკის ჩრდილო-დასავლეთით) და სხვა დასახლებული პუნქტები. მარტო ერთ დასახლებულ პუნქტში ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 26 საწყობი საომარ მასალიანად, სურსათიანად და ნივთეულიანად. მტერს ამ ბრძოლებში უდიდესი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალის მხრივ. წამოყვანილია ბევრი ტყვე. ჩვენი ჯარები სპობენ მტრის განადგურებულ ნაწილებს, რომლებმაც ევაკუაცია ვერ მოასწრეს.

ჩვენი ავიაცია კვლავ ურტყამდა მტრის გემებს ქერჩის სრუტეში. ჩაძირულია მთელი რიგი სწრ

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი მოლოტოვის რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებში პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების შესახებ. აღინიშნა, რომ რაიონში პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებს ძირითადად დამაკმაყოფილებლად ამზადებენ და ატარებენ. კრებებზე საკითხების განხილვაში კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ, შემოაქვთ საქმიანი წინადადებანი. პარტრაიკომი პერიოდულად იხილავს საკითხებს ცალკეულ პარტორგანიზაციებში პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების შესახებ.

მაგრამ ამასთანავე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ რაიონის ზოგიერთ პარტორგანიზაციაში, განსაკუთრებით მცირერიცხოვან პარტორგანიზაციებში (თბილისის ნავთის ბაზა, ლიმონათის ქარხანა, საქპურტრესტის გარაჟი, არტელი „სარქაო კომბინატი", თელასის სახელოსნოები და სხვ.) პარტიული კრებები დაბალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ტარდება. კომუნისტები არასაკმაოდ მონაწილეობენ პარტიული კრებისათვის საკითხების მომზადებაში, გადაწყვეტილებანი არაკონკრეტული, ზოგადი ხასიათისაა. მთელ რიგ პარტორგანიზაციებში დადგენილებათა შემოწმება დამაკმაყოფილებლად არ ხდება დაყენებული. ლიმონათის ქარხნის, საკოლეურნეო ბაზრის, არტელ „სარეწაო კომბინატის" და სხვა პარტორგანიზაციების კრებებზე არ ხდება ადგილობრივი საკითხების განხილვა. ზოგიერთი პარტორგანიზაცია (თბილისის ნავთის ბაზა, „გლავრიბსბიტის" კანტორა, „ენერგოსბიტი" და სხვ.) პარტიულ კრებებს რეგულარულად არ იწვევენ. პარტიული კრებების ოქმებს დროულად არ აფორმებენ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიურომ დაავალა მოლოტოვის პარტრაიკომს და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მეტი ყურადღება დაუთმონ პარტიული კრებების ყოველმხრივ მომზადებისა და სისტემატურად ჩატარების საქმეს, კრებებზე განიხილონ ადგილობრივი, შინაპარტიული ცხოვრებისა და საწარმოო საკითხები. უზრუნველჰყონ კრებებზე საკითხების განხილვაში კომუნისტების აქტიური მონაწილეობა. დახურული პარტიული კრებების გარდა, უნდა იწვეოდეს ღია პარტიული კრებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს კომკავშირული და უპარტიო აქტივი. პარტიული კრების გადაწყვეტილებანი კონკრეტული უნდა იყოს, ოქმები დროულად უნდა ფორმდებოდეს.

* * *

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი ქ. თბილისის რაიონული საბჭოების გამგებლობაში არსებულ მწვანე ნარგავთა მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ რაიონული საბჭოების აღმასკომების კომუნალური განყოფილებების მხრივ გამწვანების სექციებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლის შედეგად ქუჩებში ნარგავები სათანადოდ არ არის მოვლილი, მთელ რიგ მთავარ ქუჩებზე (ლენინის, ჟორესის, ჯაფარიძის, ფუცელაძისა და სხვა ქუჩები) გამხმარი ნარგავები ახლით არ შეუცვლიათ, ნარგავები გაწეწილია არ არის ხმელი ტოტებისაგან, ვაჟა-ფშაველის სახელობის სკვერი და სკვერები ჯონქაძისა და ბესიკის ქუჩებზე (ბერიას რაიონი) ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. მოუვლელია ბუჩქები და წვრილი ნარგავები სკვერებში ვარდის მოედანზე (26 კომისრის რაიონი), ბებელის მოედანზე (კიროვის რაიონი), ერისთავის ქუჩაზე (ორჯონიკიძის რაიონი), ვაგზლის მოედანზე (სტალინის რაიონი) და სხვ. ბაღები, პარკები, სკვერები დღემდე სათანადოდ დაცული არ არის. ორანჟერიების მეურნეობებში არ მიმდინარეობს ზამთრისათვის მზადება.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიურომ დასახა ღონისძიებანი ქ. თბილისში მწვანე ნარგავთა მოვლის გაუმჯობესებისათვის. 1 ნოემბრამდე უნდა ჩატარდეს ბუჩქების, მარად მწვანე მცენარეების, საბორდიურო ნარგავთა რემონტი სკვერებში, ორანჟერიებსა და სათბურებში, დამზადდეს ყვავილების თესლი და სასუქი. უზრუნველყოფილ იქნას სათბობით ორანჟერიების მეურნეობა, 15 ოქტომბრამდე ჩატარდეს ბაღებში, პარკებში, სკვერებსა და გაზონებში ბუჩქების გაფორმება, შეკეთდეს შინაგანი ბილიკები და მოედნები.

მწვანე ნარგავთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაძლიერებულ იქნას საშემოდგომო მორწყვა. ვეგეტაციის დაწყებამდე დამთავრდეს გამხმარი მცენარეების ნაცვლად ახლის დარგვა.

ქალაქის სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეთა შორის უნდა ჩატარდეს საუბრები მწვანე ნარგავთა დაცვის საკითხებზე.

სტალინის სახელობის ქარხნის პარტიული კონფერენცია

ამ დღეებში შესდგა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა ორი საკითხი: ქარხნის პარტიული კომიტეტის მუშაობის ანგარიში და პარტიული კომიტეტის არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა პარტკომის მდივანმა ამხ. ი. ნეფარიძემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამამულო ომის დღეებში ქარხნის კოლექტივმა, მიუხედავად მოელი რიგი სიძნელეებისა, საწარმოო გეგმების დროულად შესრულებასთან ერთად გეგმის გარეშე ქვეყანას მისცა ახალი პროდუქცია. გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. პარტორგანიზაცია სისტემატურად მუშაობდა საწარმოო საკითხებზე, და მთელი რიგი ღონისძიებების შედეგად საწარმოო დავალებები დროულად სრულდებოდა.

პარტორგანიზაცია ყურადღებას უთმობდა შინაგესრსების გამოყენებას, ელექტროენერგიისა და სათბობი მასალის ეკონომიას და სხვ. პარტორგანიზაცია ეხმარებოდა წარმოებაში ახალმოსულ მუშებს, იბრძოდა წარმოებაში კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლის განხორციელებისათვის. საანგარიშო პერიოდში ქარხნის პარტორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო 207 ამხანაგი, აქედან საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად—107 კაცი. 531 კაცი დამოუკიდებლად სწავლობს ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", ხოლო დანარჩენთათვის შექმნილია წრეები—6 პარტიული და 2 კომკავშირული წრე.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე მთელი რიგი დეფექტები ცალკეული საამქროების მუშაობაში, რაც საჭიროებს დაუყოვნებლივ გამოსწორებას. ზოგიერთ საამქროებში ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევას, წუნს და სხვ.

ქამათში გამოსული ამხანაგები ტოგონიძე, კოჭლაბაშვილი, გოლოვინი, ლიაშენკო, ეგორაშვილი, დამენია, მატინიანი, მინასაშვილი და სხვები აღნიშნავდნენ, რომ თუმცა ქარხანამ სამამულო ომის განმავლობაში მუშაობა გარდაჰქმნა და პროდუქციის მთელი რიგი ახალი სახეები გამოუშვა. დღემდე ადგილი აქვს ნაკლოვანებებსაც. არადამაკმაყოფილებელია სააგიტაციო მუშაობა ცალკეულ საამქროებში, ადგილი აქვს მუშახელის დენადობას. პარტიულმა კონფერენციამ განხილული საკითხის გამო დასახა ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

კონფერენციამ პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში აირჩია 11 კაცი. პარტკომის მდივნად არჩეულია ამხ. ი. ნეფარიძე.

საქ. ალკა თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება

5 ოქტომბერს ძერჟინსკის სახელობის კლუბში შესდგა საქ. ალკა თბილისის ორგანიზაციის საქალაქო აქტივის კრება. აქტივის დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: საკ. ალკა XXV წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ქალაქ თბილისის ორგანიზაციებში. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. ალკა თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. შენგელიამ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის საწარმო-დაწესებულებათა კომკავშირული ორგანიზაციები ფართოდ ჩაებნენ საკ. ალკა XXV წლისთავთან დაკავშირებით სოციალისტურ შეჯიბრებაში. მთელი რიგი ორგანიზაციები გადაჭარბებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. გი შეჩერდა სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორის—თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაზე, რომელმაც ძირითადად წარმატებით გადაჭიდა ნაკისრი ვალდებულებანი და დამატებით იკისრა ახალი ვალდებულებანი. ასევე წარმატებით მუშაობს იმ ქარხნის ახალგაზრდობა, სადაც დირექტორად არის ამხ. მელაძე, თბილისის რკინიგზის კვანძის, აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის და სხვა საწარმო-დაწესებულებათა კომკავშირელები. მომხსენებელმა გააკრიტიკა სატრიკოტაჟო კომბინატის, სამკერვალო ფაბრიკა № 7-ის, ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკის და სხვ. კომკავშირული ორგანიზაციები, სადაც სოციალისტური შეჯიბრება დღემდე არ არის ჯეროვნად გაშლილი. სუსტია სააგიტაციო მუშაობა, ყველა კომკავშირელს არა აქვს აღებული კონკრეტული ვალდებულებანი.

სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. გოგლიძე, ლომია, ჭუმბურიძე, ალმოევი, ვერეეენკო, პაპიანი, ტეროსიანი, ჯასტელევა, ტროფიმოვი. ისინი აქტივს უზიარებდნენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას, უამბობდნენ, თუ როგორ ასრულებენ სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, და ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მიღწეული წარმატებით არ დაკმაყოფილებიან და უფრო მეტი პასუხისმგებლობით და სერიოზულობით იმუშავებენ დიდი-სამშობლოს საკეთილდღეოდ, იმუშავებენ ისევე თავდადებულად, როგორც ჩვენი მამაცი წითელარმია ფრონტზე იბრძვის ჰიტლერელ ოკუპანტთა სრული განადგურებისათვის.

განხილულ საკითხზე აქტივმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჩერქეზია და საქ. ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბალავაძე.

ენგურის ქაღალდკომბინატმა გადაჭარბებით შეასრულა გეგმა

ზუგდიდი („კომუნისტის" საკ. კორ.). ენგურის ქაღალდკომბინატი (დირექტორი ამხ. ბ. ჯანაშია, პარტბიუროს მდივანი ამხ. ბ. ესარდია) გადაჭარბებით ასრულებს ქაღალდის გამოშვების გეგმებს. მესამე კვარტალის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, ხოლო სექტემბრისა 109,2 პროცენტით.

განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ქაღალდისა და ცელულოზის საამქროებმა. ქაღალდის საამქრომ (უფროსი ი. კოზმინიხი) სექტემბრის გეგმა 109,2 პროცენტით შეასრულა, ცელულოზის საამქრომ (უფროსი ტ. ყუფუნია)—100,5 პროცენტით. მოწინავე ადგილზე არიან ამხ. ნ. ფაცაციას (ქაღალდის საამქრო) და დ. თოდუას ცვლები. კომბინატის მუშათა კოლექტივი ჩაბმულია წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში და წარმატებით იბრძვის ახალი საწარმოო გამარჯვებების მისაღწევად.

ხ. გერულავა

ლიანდაგელებმა შეასრულეს ნლიური გეგმა

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის სალიანდაგო დარგის კოლექტივებმა ვადაზე ადრე, 1 ოქტომბრისათვის შეასრულეს სალიანდაგო სამუშაოთა წლიური გეგმა. რამდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე გაუკეთდა ლიანდა, მიმდინარე რემონტი, გაუმჯობესებულია ლიანდაგის ტექნიკური მდგომარეობა, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მატარებლების კრივონოსული სიჩქარით მიმოსვლას.

მუშაობაში კარგ მაჩვენებლებს იძლევიან შორაპნის (უფროსი ამხ. გუჯაბიძე) და თბილისის (უფროსი ამხ. მახათაძე) სალიანდაგო დისტანციები.

ლიანდაგელებმა დროულად დაიწყეს მზადება ზამთრისათვის. მათ ადგილობრივი რესურსებით დამზადეს 10.000 ფარი და 300.000 სარი.

მოგებიანი ანაბრების მეორე ჯირაქი

5 ოქტომბერს თბილისში სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში შესდგა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მეორე ტირაჟი. ტირაჟის დაწყების წინ საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარმა და სატირაჟო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კ. ციმაკურიძემ წარმოსთქვა სიტყვა მშრომელთა მიერ შემნახველ სალაროებში ანაბრების შეტანის მნიშვნელობაზე სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების უზრუნველსაყოფად. ამხ. ციმაკურიძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობიდან შემნახველ სალაროებში თავისუფალი თანხების მოზიდვისათვის ადგილობრივი საფინანსო ორგანოები ჯეროვანად ვერ მუშაობენ და საჭიროა ამ მხრივ მშრომელებში ახსნა-განმარტებითი მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლა.

ტირაჟის ტექნიკურად ჩატარების საკითხების განსამარტავად სიტყვით გამოვიდა სატირაჟო კომისიის მდივანი ამხ. შტეინბერგი. მან განმარტა, რომ ყოველ 40 მეანაბრეზე ამ ტირაჟში მოდის ერთი მოგება, ე. ი. 1.000 მეანაბრეზე მოდის 25 მოგება. მათ შორის 22 მოგება უფრის მეანაბარის ანგარიშზე ოკანასკნელი 6 თვის განმავლობაში შემნახველ სალაროებში არსებული ანაბრის საშუალო თანხის 50 პროცენტს, 2 მოგება 100 პროცენტს და 1 მოგება—200 პროცენტს.

სატირაჟო კომისიის წევრებმა — აკად. ნ. კეცხოველმა, დ. მუედლიშვილმა, ვ. იმედაძემ, ჯოხონელიძემ და სხვ. შეამოწმეს სატირაჟო ბორბლები და დაიწყო მოგებათა გათამაშება.

პირველი მოგება—განვლილ **ექვსი** თვის განმავლობაში საშუალო ანაბრის თანხის 50 პროცენტი ხვდა საანგარიშო წიგნაკს № 6 (ე. ი. იმ მეანაბარეებს, ვინც ხელთ აქვთ შემნახველი სალაროების წიგნაკები № 6, № 1006, № 2006 და ა. შ.). 50-პროცენტიანი მოგება ხვდათ შემდეგ (სალაროშო წიგნაკების დანარჩენ ნომრებს— № 64, 91, 124, 196, 232, 244, 293, 326, 383, 450, 513, 552, 572, 641, 696, 748, 785, 819, 885, 955 და 989. საშუალო ანაბრის 100-პროცენტიანი მოგება ხვდათ საანგარიშო წიგნაკების ნომრებს—435 და 624. 200-პროცენტიანი მოგება ხვდა საანგარიშო წიგნაკის ნომერს—870.

ტირაჟის გათამაშებამ დამსწრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. მოგებათა ნომრების სრულიად გამოქვეყნების შემდეგ გაიშართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქფილარმონიის საუკეთესო ძალებმა.

ინგლისის ელჩმა ა. შ. შტატებში ამხ. გრომიკომ რწმუნების სიგელები გადასცა პრეზიდენტ რუზველტს

ვაშინგტონი, 4 ოქტომბერი (საკდესი). საახალწლო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ სსრ კავშირის ელჩმა შეერთებულ შტატებში ამხ. გრომიკომ რწმუნების სიგელები გადასცა რუზველტს.

რწმუნების სიგელების გადაცემისას ამხ. გრომიკომ და პრეზიდენტმა რუზველტმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ვაშინგტონი, 4 ოქტომბერი (საკდესი). პრეზიდენტ რუზველტისათვის რწმუნების სიგელების გადაცემისას, სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. გრომიკომ განაცხადა:

„ბატონო პრეზიდენტო! პატივი მაქვს გადმოგცეთ რწმუნების სიგელები, რომლებითაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მნიშვნავს თქვენთან სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად, აგრეთვე ჩემი წინამოადგილის გაწვევის სიგელები.

გაბარებთ რა რწმუნების სიგელებს, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები გამსჭვალული არიან ამერიკელი ხალხისადმი მეგობრობისა და ღრმა პატივისცემის გრძნობით და რომ მასთან მეგობრული ურთიერთობისა და უმჭიდროესი თანამშრომლობის დაცვა და შემდგომი განვითარება ჩემი მთავრობის მხურვალე სურვილსა და მისწრაფების წარმოადგენს.

ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის მეგობრობა შემთხვევითი როდია, იგი გამოხატავს ჩვენი ხალხებისა და ჩვენი ქვეყნების ძირითად ინტერესებს. ეს მეგობრობა მტკიცდებოდა იმ ომის მძიმე განსაცდელში, რომელშიც საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ხალხები იბრძვიან საერთო მტრის—ჰიტლერული გერმანიის და ევროპაში მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. მეგობრობა, რომელიც ჩვენ ხალხებს აკავშირებს, კიდევ უფრო მტკიცდება სისხლით, რასაც ჩვენი ქვეყნების საუკეთესო შვილები ღვრიან გერმანელ ფაშისტ ბანდიტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ შეუპოვარი ბრძოლის ორი წლის განმავლობაში, რომელშიც ძალ-ღონის დაძაბვისა და მსხვერპლის ყველაზე მძიმე ტვირთი საბჭოთა კავშირს ხვდა წილად, საბჭოთა კავშირის ხალხები მეგობარი ამერიკელი ხალხისგან იღებდნენ და იღებენ არა მარტო მორალურ, არამედ მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებასაც, როგორც თვითმფრინავებით, ტანკებით, ქვემეხებითა და სხვა სამხედრო მასალებით, ისე სურსათით.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს ამ დახმარებას, რომლისთვისაც თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ხოლო თქვენი საშუალებით მთელ ამერიკელ ხალხს ჩემი მთავრობისა და ჩემი ქვეყნის ხალხთა მხურვალე მადლობა მოგახსენებთ.

მოკავშირეთა შეიარაღებული ძალები, მათ შორის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალებიც, სულ უფრო და უფრო მზარდ მონაწილეობას იღებენ ჩვენს საერთო ბრძოლაში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ და უკვე მთელი რიგი მძიმე დამარცხებანი მიაყენეს ვერეგ მტერს.

წითელი არმიის წარმატებებმა მის ბრძოლაში ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, მისმა ახლანდელმა ძლევამოსილმა წინსვლამ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, ინგლის-ამერიკის ჯარების შესანიშნავმა წარმატებებმა ჩრდილოეთ აფრიკასა და სიცილიაში, აგრეთვე ინგლის-ამერიკის ძალების გაშლილმა საომარმა ოპერაციებმა იტალიის ტერიტორიაზე, ხელსაყრელი საბჭოდრო და პოლიტიკური ვითარება შეიქმნეს საზიზღარი მტრის წინააღმდეგ გადამწყვეტი დარტყმებისათვის.

ამავამად ცხადია, რომ ომის მსვლელობა გაერთიანებულ ერთათვის ხელსაყრელად შემობრუნდა. მაგრამ მტრის წინააღმდეგ გადამწყვეტი დარტყმისათვის საჭირო იქნება ჩვენი ქვეყნების ყველა ძალებისა და ყველა გაერთიანებულ ერთა ძალების დაძაბვა.

მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ, ბატონო პრეზიდენტო, რომ ახლანდელი ერთობლივი ბრძოლა ჩვენი საერთო მტრის—ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მისი მოკავშირეების წინააღმდეგ მოგვიყვანს ჩვენი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობამდე ომისშემდგომ პერიოდში საყოველთაო მშვიდობიანობისა და უშიშროების სასარგებლოდ. მე ვფიქრობ, რომ ურთიერგაგება და ურთიერთნდობა ჩვენს ქვეყნებს შორის, რაც ესოდენ აუცილებელია როგორც ომის დროს, ისე ომისშემდგომ პერიოდშიც, აგრეთვე მაქსიმალურად გამოიჩენება ჩვენი ერთობლივი სამხედრო ღონისძიებების ცეცხლში.

მე მზად ვარ მთელი ჩემი ძალ-ღონე მოვახმარო ჩვენს ქვეყნებს შორის ამ ურთიერთგაგებისა და ნდობის შემდგომ განმტკიცებას და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საერთო ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ამ მაღალი მიზნის მიღწევისაკენ, წარმატებითა და ნაყოფიერი იქნება.

მე ამედი მაქვს, ბატონო პრეზიდენტო, რომ ჩემი, როგორც თქვენთან აკრედიტებული ელჩის, მოვალეობის შესრულებისას მე შემიძლია დავეყრდნო თქვენს დახმარებას, აგრეთვე იმ მთავრობის დახმარებას, რომელსაც თქვენ სათავეში უდგეხართ.

გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, მერწმუნოთ, რომ მე სავსებით დარწმუნებული ვარ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ ნაყოფიერ განვითარებასა და განმტკიცებაში ჩვენი დიდი ხალხებისა და ყველა მეგობრული ქვეყნის საკეთილდღეოდ და ასაყვავებლად".

პასუხი რა სსრ კავშირის ელჩის ამხ. გრომიკოს მიერ რწმუნების სიგელების გადაცემასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაზე, ჰრეზიდენტმა რუზველტმა განაცხადა:

„მე ბედნიერი ვარ ჩავიბარო თქვენი აღმატებულებისაგან სიგელები, რომლებითაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გნიშნავთ თქვენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად შეერთებული შტატების მთავრობასთან, და მოგესალმებით ამ როლში. ღრმად დაკმაყოფილებული ვარ თქვენ მიერ გამოთქმული გადაწყვეტილებით განგრძოთ იმ მეგობრული ურთიერთობის, ურთიერთგაგებისა და ნდობის განვითარება, რომლებიც ესოდენ საბედნიეროდ არსებობენ ჩვენს ორ ქვეყანას შორის, და ამით განგრძოთ მუშაობა თქვენი გამოჩენილი წინამოადგილისა, რომლის გაწვევის სიგელებიც თქვენ ჩამაბარეთ.

შემიძლია დაგარწმუნოთო, რომ თქვენი მთავრობის მიერ თქვენთვის დაკისრებული ამ მაღალი ამოცანის შესრულებისას თქვენს აღმატებულებას შეუძლია ამერიკის მთავრობის სრული თანამშრომლობისა და დახმარების იმედი იქონიოს.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისა და ხალხების სიმტკიცემ, სიმამაცემ და თავდადებამ მათთვის საშინელ განსაცდელს ყმის ამერიკელი ხალხის უსაზღვრო აღტაცება გამოიწვია, და ჩვენ საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად გვახარებენ სულ უფრო და უფრო მზარდი წარმატებანი, რომელნიც აგვირგვინებენ საბჭოთა იარაღს.

თქვენს ქვეყანაზე ნაცისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის მომენტიდან ჩვენი ქვეყნის განუხრელი განზრახვა იყო და არის თქვენი მამაცი არმიებისათვის მაქსიმალური დახმარების აღმოჩენა. ორივე ჩვენი ქვეყანა გაერთიანდა საერთო მტრის წინააღმდეგ. ამერიკის მთავრობამ და ამერიკელმა ხალხმა ყველა ღონისძიება იხმარეს იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო მალე და უფრო ეფექტურად გამოიყენონ ჩვენი შეიარაღებული ძალები ამ მტრის წინააღმდეგ. მტერი გრძნობდა, გრძნობს და სულ უფრო და უფრო მზარდი ზომით იგრძნობს გაერთიანებულ ერთა ერთობლივი ძალების ძლიერებას. და როდესაც მიღწეული იქნება საბოლოო და სრული გამარჯვება, ხოლო იგი მიღწეული იქნება, მე დარწმუნებული ვარ, შესაძლებელი იქნება ვთქვათ, რომ თითოეულმა გაერთიანებულმა ერმა სრული მონაწილეობა მიიღო ამ გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნები დიდი საქმისათვის გაერთიანდნენ, და მე სავსებით ვიზიარებ თქვენს რწმენას, რომ მაზნის ერთიანობა, რაც აერთიანებს ჩვენს ხალხებსა და ქვეყნებს ომის წარმოებაში, გადაიქცევა მჭიდრო და მტკიცე თანამშრომლობად, სხვა ერთნაირად მოაზროვნე ქვეყნებთან ერთად, სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობიანობის შექმნაში".

(მილებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ეკონომიური ნგრევა და სიღატაკე ესპანეთში

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი (საკდესი). ერთს ესპანურ ეურნალში, რომელიც ა. შ. შტატებში გამოდის, გამოქვეყნებულია ესპანეთიდან დაბრუნებულთა ნაამბობი. ისინი ხატავენ სულ უფრო მზარდ ეკონომიურ ნგრევასა და ესპანელი ხალხის მასების გაღატაკებას.

ესპანეთში მკვეთრად საგრძნობია სურსათის ნაკლებობა. მოსახლეობისათვის ბარათებით გასაცემ პროდუქტთა ნორმები განუწყვეტლივ მცირდება. ბაზრის ფასები წარმოუდგენლად მაღალია და განუწყვეტლივ მატულობს.

ფალანგისტთა ხელისუფალნი (ფალანგისტები ესპანელი ფაშისტები არიან) სოფლებში ეწყვიან სურსათის, პირუტყვის რეკვიზიციას და გლეხებს ჯარიმებისა და უდიდესი გადასახადების გზით ძარცვავენ. გლეხები სტოვებენ თავიანთ მეურნეობას და ქალაქებში მიდიან.

შიმშილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესპანეთში ის არის, რომ სასურსათო პროდუქტები გერმანიაში გაადვეთ. იქ ყოველდღე იგზავნება ზეითუნის ზეთით და ხორცით დატვირთული მატარებლები. ფრანკოს მთავრობა გერმანიაში ჰგზავნის აგრეთვე იმ სასურსათო საქონელს, რომელიც ესპანეთში ინგლისიდან და ა. შ. შტატებიდან შეაქვთ.

ესპანეთში მატულობს მტრობა ფრანკოს რეჟიმისადმი. გლეხები ხშირად სპობენ ფალანგისტების მიერ რეკვიზირებულ სურსათს. ბევრი ახალგაზრდა ესპანელი, რომელსაც არმიაში გაწვევა ეხება, თავს არიდებს გასაწვევ პუნქტებში მისვლას და მთებში გარბის, სადაც პარტიზანებს უერთდება. პარტიზანული რაზმების რაოდენობამ გალისიაში, ესტრემადურაში, ანდალუზიაში, ტოლედოსა და სხვა რაიონებში 40.000 კაცს მიაღწია. ზოგიერთი რაზმი შეიარაღებულია ტყვიამფრქვევებით და ქვემეხებითაც კი.

პარიზიანთა მოქმედება საფრანგეთში

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს ცნობით, არიეჟის (პირენეის მთები) დეპარტამენტის მთებში მოქმედმა ფრანგმა პარტიზანებმა გაანადგურეს ვიშის პოლიციის რაზმები და საოკუპაციო ჯარის ნაწილები. ჰიტლერელებს მძიმე ზარალი მიაყენეს. ოკუპანტები პოლიციის რაზმებთან ერთად იძულებული იყვნენ თავი შეეფარებინათ ქალაქ პამიეში, სადაც ისინი მაშველ ძალებს ელოდებიან.

ზემო საფოის პარტიზანები 5 ოქტომბერს თავს დაესხნენ ქალაქ ანესის, სადაც პოლიციის უფროსი მოჰკლეს.

სამხედრო ნარმოების ზრდა ა. შ. შტატებში

ნიუ-იორკი, 7 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამა წლის მესამე კვარტალში ა. შ. შტატებში 16 მილიარდ დოლარისაზე მეტი საჭურველი იყო დამზადებული—სუთჯერ და უფრო მეტი, ვიდრე 1941 წელს. წელს ამერიკის იმ მრეწველობის პროდუქცია, რომელიც საჭურველს ამზადებს, თითქმის ერთიორად გადაამეტებს ერთად აღებული გერმანიისა, იაპონიისა და იტალიის სამხედრო ქარხნების პროდუქციას. 1941 წელს ამ ქვეყნებმა ერთად ხუთჯერ მეტი საჭურველი დაამზადეს, ვიდრე ა. შ. შტატებმა.

ბრძოლები კუნძულ კოსზე

ლონდონი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა ახლო აღმოსავლეთის საჰაერო ძალთა შტაბის ცნობით, კუნძულ კოსზე გრძელდება ბრძოლები გადამსხდარ გერმანელთა ჯარებთან.

4 ოქტომბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ გერმანიის აეროდრომებს მარიტცასა და კალტოში (კუნძული როდოსი) და კუნძულ კრეტაზე. ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

უცხოეთის ქრონიკა

ჩეხოსლოვაკიაში ჰიტლერელებმა სიკვდილით დასჯეს შვიდი ჩეხი, რომელთაც ბრალად დასდეს „სახელმწიფო უშიშროებისათვის ძირის გამოთხრა".

* * *

იუგოსლავიის ქალაქების ქუჩებში ათასობით უპატრონო ბავშვი დაეხეტება. წელს საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულია 5.000-ზე მეტი უპატრონო ბავშვი, აქედან 1.500-მდე ბავშვი მარტო ზაგრებშია.

* * *

5 ოქტომბერს ლონდონს ჩავიდა სამხრეთ აფრიკის კავშირის პრემიერ-მინისტრი ფელდმარშალი სმეტსი. სმეტსი ჩერჩილთან ერთად განიხილავს ლონდონში ბრიტანეთის დომინიონების პრემიერ-მინისტრთა თათბირის მოწვევის მომზადების საკითხს.

* * *

ინგლისის „ტაიფუნის" ტიპის ავიაგამანადგურებლები 5 ოქტომბერს პარიზის რაიონში შეეჭიდნენ და მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ბრიტანეთის არმიის სამხრეთ აფრიკის მეორე დივიზიის სარდალი გენერალ-მაიორი კლაპერი, რომელიც ტყვედ იყო წაყვანილი ტობრუკის კაპიტულაციის შემდეგ, იტალიაში არსებული საბჭედრო ტყვეთა ბანაკიდან გაიქცა. მთებში სამი კვირის სიარულის შემდეგ კლაპერმა ინგლისის ჯარების განლაგებას მიაღწია.

* * *

ხმელთაშუა ზღვაში მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილი სარდალი ფლოტის ადმირალი ენდრიუ კანინგჰემი დაინიშნა პირველ საზღვაო ლორდად და დიდი ბრიტანეთის მთავარი საზღვაო შტაბის უფროსად.

* * *

საფრანგეთში დახვრიტეს 50 პატრიოტი, რომელთაც ჰიტლერელებმა ბრალად დასდეს საბოტაჟი და ტერორისტული აქტების ჩადენა.

* * *

სექტემბრის ბრძოლების განმავლობაში გერმანელებმა ევროპაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში დაჰკარგეს 532 თვითმფრინავი, ინგლისის ავიაციამ—504 (საკდესი).

საქართველოს კოლმეურნეები მხურვალედ ეხმაურებიან აღდგომელ კოლმეურნეთა მიმართვას

ბათუმი (საქდესი). აჭარის კოლმეურნეობებში მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა აზეტ-ბაიჯანის სსრ აღდგომის კოლმეურნეთა მოწოდებამ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. მიესალმენენ რა აღდგომელთა მიმართვას, ბათუმის რაიონის მოლოტოვის სახელობის არტელის კოლმეურნეებმა ახალი კონკრეტული ვალდებულებანი აიღეს.

საქდესის თანამშრომელი ამ საუბრის დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. აბდულ ლეზგი-ოღლიმ განაცხადა:

— მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნე